რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა·

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა

### წლიური ფასი ექვსი მანათი·

**ქეთევან თევდორეს ასული ბოჭიევისა, ელისაბედ ექვთიმეს ასული ბაბაევისა** და **ნინო ექვთიმეს ასული ხოსროევისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი შვილისას და მეორენი ძმისა **დავით ექვთიმეს ძის ბოჭიევისა.** მიცვალებულს გაასვენებენ 28 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, წმ. მარიამის ეკკლესიაში.

პანაშვიდი იქნება ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარს სახლებში, ავლაბარში, მეტეხის აღმართში, № 25. (3—3)

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდამ, ყოველ დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს.

ფასი გაზეთისა:

| | | მ. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 | „ — — — — | 6 | „ |
| 11 | „ — — — — | 9 | 50 | 5 | „ — — — — | 5 | 50 |
| 10 | „ — — — — | 8 | 75 | 4 | „ — — — — | 4 | 75 |
| 9 | „ — — — — | 8 | „ | 3 | „ — — — — | 3 | 50 |
| 8 | „ — — — — | 7 | 25 | 2 | „ — — — — | 2 | 75 |
| 7 | „ — — — — | 6 | 50 | 1 | „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვლა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქაღაქს გარედვე—ოთი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება.

## პანცერი და გლუხოვსკი



ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).

ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი

### საკერავი მანქანებისა

ნამდვილის **ზინგერ-ნაუმანის** და სხვა გამოჩენილ სისტემის მანქანები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—5)

## სასწავლებელი და პანსიონი

### ა. ტერ-აკოპოვისა.

იყვანს მოწაფეებს სახლიდგან მოსიარულეებს და პანსიონერებსაც. ამზადებს მეხუთე კლასამდე შესასვლელად გიმნაზიებს, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა და სხვა სასწავლებლებში მისაღებად. ქართველებს ქართულსაც ასწავლიან. მოწაფენი მიიღებიან 6 წლისა და მეტისა. ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11. (13—7)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე· კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი·

**ე. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ· ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1$^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა·

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულადშ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ).

## სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ი. ა. ვარშავსკი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. .ბ თოფურია·** (წ.)

**შუამავლის სესხ-მიცემო ამხანაგობის** დროებითი კონტროლი ამით აცხადებს, რომ რადგან 10 გიორგობისთვისათვის დანიშნული საგანგებო კრება ამხანაგობის წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ კრება დანიშნულია ხელ-მეორედ კვირას, 1 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 6 საათზე, პურ-დგინოს სასტუმროში. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უ[illegible] ნიხილოს ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობა და აირჩიოს გამგეობისა და კონტროლის წევრი თავიანთ კანდიდატებითურთ. (4—1)

ექიმი
ჟ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

კბილის ექიმი
ვ. ი. ჟივინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## გუშინდელი დეპეშა.

26 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ცარსკოე სელოდან ჩამობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული პეტერბურგს.

**ხარკოვი.** სასამართლო პალატის განყოფილებამ კრემენჩუგში განიხილა საქმე შესახებ ბოროტ-მოქმედებისა კრემენჩუგის საკომერციო ბანკში და გადუწყვიტა ბანკის მმართველს ფონ-გრუმკოვს და დირექტორს როზენტალს გაგზავნა ტობოლის გუბერნიაში 12 წლით.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. რადიკალ მიშელენს შეაქვს კითხვა მადაგასკარის შესახებ. მთავრობისაგან საქმის ახსნის შემდეგ პალატამ მიიღო 431 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 93-ისა მთავრობისაგან მიღებული წინადადება, ჩვეულებრივი გადასვლა მორიგ საქმეებზედ.

დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე პეტერბურგს გაემგზავრა. ჩამოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და რკინის გზის სადგურზე მიეგება ორი ოფიცერი პრეზიდენტ ფორის სახელით.

**სტამბოლი.** პორტამ აუწყა ელჩებს, რომ უკვე შემოღებულ იქმნა რეფორმები შემდეგს ვილაიეტებში: ლარბექირისაში, ბიტლისისაში, მამურეთისაში და აზიზისაში. მთავრობის განცხადებისაგან სჩანს, რომ ხსენებულ ვილაიეტებში ჟანდარმების მესამედი ნაწილი შესდგება ქრისტიანებისაგან. ბევრის ასაღებად დანიშნულ იქმნებიან მთავრობის მოხელენი, ხოლო სოფლის ყარაულებად დაინიშნებიან თვითონ სოფლებისაგან არჩეული პირები.

**ბელგრადი.** უსკუბიდან იუწყებიან, რომ ოსმალოს მთავრობას მიუღია განსახილველად განსვენებულ მიტროპოლიტის მეთოდის მკვიდრის საჩივარი, რომელშიაც იგი ამბობს, რომ ჩემი ძმა მოწამლულ იქმნა თავის მეტოქეებისაგან საბერძნეთიდამაო.

**ვაშინგტონი.** იმ ეპისტოლეში, რომლითაც პრეზიდენტმა მიჰმართა დღეს კონგრესს, მოხსენებულია სამხრეთის საქმე და სხვათა შორის ნათქვამია, მიღებულ იქმნა ყოველგვარი ღონისძიება, რომ ოსმალეთისაგან შესრულებულ ყოფილიყო ყველა ის ცვლილებანი, რომელნიც ამერიკის მთავრობამ მოითხოვაო. კლივლენდი ჰფიქრობს, რომ აწინდელი მდგომარეობა ოსმალეთში დიდხანს ვერ გასტანსო, რადგან XIX საუკუნის დამლევს ყოვლად შეუძლებელია ისეთი ძალმომრეობა სომხებზე, რომელიც შეურაცხჰყოფს მთელს საქრისტიანოსო. აწინდელ გარემოებათა შორის შეუძლებელია კუბის მეამბოხენი ვიცნათ მართებულ მეომარ მხარეთო. შემდეგ პრეზიდენტი თანაგრძნობით იხსენიებს ინსპანელთა მდგომარეობას. ვენესუელის შესახებ კლივლენდი ამბობს, დარწმუნებული ვარ რომ ვენესუელას საქმე მორიგებით გათავდებაო. ტარიფების შესახებ პრეზიდენტი იმ აზრისაა, რომ როგორც აქამდე იყო ისე დარჩეს ტარიფებიო. ბოლოს კლივლენდი დასძენს, რომ უმჯობესია მთავრობამ თავი დაანებოს ფულის საბანკო წესით წარმოებასო და დასჭირდეს იმ ფულს რომელიც თვითონ ხალხმა იკისრა სახელმწიფო ხარჯის გასასტუმრებლადაო.

**პარიზი.** სამინისტროს გადაუწყვეტია კასიდან ნასესხი ფულის გასტუმრება საბიუჯეტო თანხიდან, ხოლო ეს უბრალო თვალთმაქცობაა, რადგან ხსენებულ საგნისათვის დანიშნული თანხები ეკუთვნიან დამდეგის 1897 წლის ბიუჯეტს და იანვარში უკვე გამოჩნდება დანაკლისი თანხებში და ნება უნებლიედ იძულებულნი იქმნებიან ისარგებლონ ინგლისის სესხით.

# ახალი ამბავი

*** **გადადებულ კრების ხელახლად დანიშვნა.** ამ თვის ათში „ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის შუამავლის“ საზოგადო კრება იყო დანიშნული სათავად-აზნაურო თეატრში, მაგრამ, ჩვეულებრივ, ოციოდე კაცის მეტი არ მისულიყო. საკვირველ არიან, უფალო, საქმენნი შენნი და სავაგლახო არიან ქართველთა საზოგადო საქმენნიც, რათა ღალადი საჭირო არ არს, არამედ, ერთი თქმითაც მეყსეულად შეიკრიბებიან საქმესა საერთოსა ზედა!..

რადგან ზემოხსენებული კრება არ შესდგა, დროებითმა გამგეობამ ხელახლად დანიშნა „პურ-ღვინოს“ სასტუმროში საერთო კრება, კვირისათვის, 1 ქრისტეშობისთვეს. ამ დღეს კი, იმედია, სულაც არ დაესწრობა, ჩვენი გულ-გრილი საზოგადოება... რადგან, რამდენიც უნდა დაესწროს კრება მაინც კანონიერი იქნება. რაც ამ ოცი წლის წინად ჩვეულება არსებობდა ჩვენში ყოველ კრებების შესახებ, იგივეა და თითქმის უარესიც დღეს. აბა ისეთი კრება ყოფილიყო, რომ თბილი ადგილების იმედი ჰქონოდათ ჩვენს ვაჟ-ბატონებს—დარბაზში ჰდევა არ იქნებოდა ხალხისაგან. გამოჩნდებოდნენ კანდიდატები, ასისტენტები, ორატორები, პარტიზანები და სხვა მრავალზე უმრავლესი „ები“ და შეიქმნებოდა ბრძოლა და ჰაპან-წყვეტა გემრიელ ლუკმის მოსაპოებლად. სამწუხარო კია, მაგრამ მართალია.

*** **პურის უვარგისობა და სიძვირე ტფილისში.** ყველას მოეხსენება, რომ „პური ჩვენი არსობისა“ ერთი უმთავრესი სახსარია ადამიანის სასულდგმულოთ, მაგრამ დახე ჩვენი ქალაქის ბედსა! ტფილისის მეპურეები ისე გათამამდნენ ამ ჟამად, რომ არარაფრის შიში აქვთ (ან კი რისა უნდა ეშინოდეთ?!.) და საძაგელ პურს აცხობენ. შეიძლება ფქვილზე ფასის აწევა იყოს მიზეზი ასეთის უვარგის პურის ცხობისა, მაგრამ არა; მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენსამე ფურნეებს მთა წმინდაში, რომლებიც ისეთ პურს აცხობენ, რომ დიდ-კაცების მშიერ ძაღლებსაც-კი არ აკადრებენ ამ პურს, თორემ ადამიანი ძნელად გადაურჩება ამ ცომსა და უხეირო პურს.

საჭიროა და ფრიადაც საჭირო ამ საჭირ-ბოროტო გარემოების ყურადღების მიქცევა, ვისგანაც ჯერ არს.

*** **საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება.** ტფილისის ქალაქის თვით მმართველობას ექვემდებარება შენობათა საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია ამ რვა წლის წინად. საზოგადოებას არავითარი ძირის თანხა არა ჰქონდა საქმის დაწყების დროს. მხოლოდ საბჭო დაუდგა თავდებად 50,000 მანათით, რომ საზოგადოების ზარალს აღადგენდა, უკეთუ მას გაუჭირდებოდა დამწვარ სახლის პატრონების გასტუმრება. მიუხედავად ასეთის მცირე თავდებობისა, საზოგადოებამ რვა წლის განმავლობაში ჩინებულად წაიყვანა თავისი საქმეები; ასე რომ დღეს დაზღვეული აქვს შენობები უკვე 11 მილიონ მანათზედ მომეტებულის ფასისა. წლიური ნაღდი შემოსავალი აღემატება 15,000 მანათს, ზარალისა და ხარჯის გარდა, და საკუთარი თანხა საზოგადოებისა შეადგენს 75.000 მანათამდე. ამ სახით ეს დაწესებულება მკვიდრ ნიადაგზედა დგას დღეს, ხოლო მის სწრაფ წარმატებას მაინც უშლის ის გარემოება, რომ სათავდებო ფული ქალაქისა მარტო 50,000 მანათია. შარშან საბჭომ დაადგინა ეს თანხა 100,000 მანათამდე აეწივნა და კიდეც გაჰგზავნა შესაფერი თხოვნა ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ აქამომდე ჯერ პასუხი არა მოსულია-რა. ეხლა ამ საქმეზედ მიდის პეტერბურგში წევრი საზოგადოების მმართველობისა ბ-ნი მარკოზოვი პასუხის დასაჩქარებლად. ეს უფლებაც რომ მოუვიდეს ქალაქს, მაშინ შემოსავალი საზოგადოებისა ერთი ორად იმატებს, რადგან ქალაქში უძრავ ქონებათა ფასი თითქმის 40 მილიონია.

*** **ახალი პულვერიზატორები** გულიე-ბლანშარდის ქარხანას გამოუგზავნია ჩვენის სამეურნეო საზოგადოებისათვის ორი ვაზის საპკურებელი მანქანა—პულვერიზატორი. ეს მანქანები საზოგადოებამ უნდა გამოსცადოს და თუ ვერმორელიელისას აჯობებს, მაშინ ამ მანქანებს დაიბარებს გასასყიდათ, რადგან ამ ახალ პულვერიზატორის ფასი ვერმორელისაზედ 2—4 მან. ნაკლებია.

*** **მამა ციკლაურის თხოვნა.** მაშავარის სამების ეკკლესიის მღვდელი გრ. ციკლაური სთხოვს სამეურნეო საზოგადოებას, შეატყობინოს, შეიძლება თუ არა ამ საზოგადოების დახმარებით მან დაიბაროს ვერმორელის მანქანები, შაბიამანი და გოგირდი და რა ფასათ. მ. ციკლაური იწერება, რომ მისს სამწყსოს სურს უწამლოს თავის ვენახებს, ხოლო ის კი არ იციან, როგორ მოახერხონ ეს წამლობა. იმედი გვაქვს, სამეურნეო საზოგადოება იღონებს რამეს და რითაც შეიძლებს დაეხმარება ხსენებულ პირთ.

*** **სპილენძის, შაბიამანის და გოგირდის** ფასმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად იმატა და შესაძლოა, რომ გაზაფხულისათვის უფრო გაძვირდეს. ამიტომ სამეურნეო საზოგადოებამ კვლავ დაიბარა კიდეც რუსეთიდამ ეს მასალები, რომელნიც საჭირონი არიან ვაზის ობის და ნაცარის წინააღმდეგ სახმარებლად. შაბიამანი და გოგირდი საზოგადოებამ სულ 800 ფუთი დაიბარა.

*** **კავკასიის გუბერნატორთა კრება** ტფილისში, როგორც ამბობენ, მოხდება დეკემბრის 7-სა. ამ კრებაზე დაესწრებიან კავკასიის ყველა გუბერნიის უფროსები.

*** **პასუხის გება დეპეშების გადარევისათვის.** ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს მმართველობის უფროსს ამ დღეებში ბრძანება გაუცია ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებაში, რომ დეპეშის არევ-დარევისათვის

ბიბლიოთეკა

პასუხის გებაში მიეცემიან არა მარტო დაბალი ხარისხის მოხელენი, რომელნიც ასე თუ ისე მონაწილეობას ღებულობენ ღვინის მიღებასა და გაგზავნაში, არამედ ისინიც-კი პასუხს აგებენ, რომელთაც ჰმართებს ყურის გდება და ზედამხედველობა.

*** **ავსტრიის იმპერატორის მობრძანება პეტერბურგს.** რუსულ გაზეთებში სწერია, რომ ავსტრიის იმპერატორი ამ ცოტას ხანში აპირებს პეტერბურგს მობრძანებას და ამის გამო პეტერბურგში უკვე შესდგომიან მზადებას იმპერატორ ფრანც იოსების მისაღებად.

*** **ქალაქის ლომბარდი** აძლევს სესხად ფულს, ვინც კი წარადგენს გირაოდ სხვა-და-სხვა საოჯახო ნივთს. რადგან კერძო კასსები დიდ სარგებელს იღებენ ამისთანა სესხზედ, ამიტომ ქალაქის ლომბარდს მიაწყდა ძრიელ ბევრი მსურველი, მაგრამ ლომბარდი უფულობისა გამო ძლივს აკმაყოფილებს მეათედს ნაწილს გაჭირვებულ ხალხისას, ხოლო ვისაც აძლევს ფულს, იმასაც ძლივს ჰხვდება მეათედი ნაწილი ნივთის ღირებულობისა. ასეთმა გარემოებამ აიძულა დირექტორი ლომბარდისა მიემართნა ქალაქის თვით-მართველობისათვის თხოვნით, რომ ქალაქმა იღონოს რაიმე ღონე და აღმოუჩინოს სახსარი ლომბარდს და შეაძლებინოს გაჭირვებულ ხალხის დაკმაყოფილება. სხვათა შორის, დირექტორი სთხოვს, რომ ქალაქმა აიღოს ნება ახალის ობლიგაციის სესხისა და მანამდე კი როგორმე მოუხერხოს და გარდასცეს ლომბარდს 20,000 მანათი გამგეობის კასსიდამ 6% სარგებლით. გამგეობამ განიხილა ეს თხოვნა დირექტორისა და დაადგინა: ახალი სესხი ობლიგაციისა სთხოვოს ქალაქმა მთავრობას მაშინ, როდესაც გამოარკვევს დანარჩენ თვის საჭიროებას, ხოლო 20,000 მანათი გარდასცეს ლომბარდს იმ ფულიდამ, რომელიც შემოუწირავთ სხვადასხვა მოქალაქეთ პირობით, რომ სარგებელი ამ ფულისა ეძლეოდეს ღარიბ შეგირდებს ქალაქის სასწავლებლებისას. გამგეობის აზრს განიხილავს საბჭო ამ მოკლე ხანებში.

*** **დრაგუნის პოლკის თხოვნა.** ამას წინათ ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ წყალზედ ყველასთვის ერთი ფასი იყოსო, ე. ი. კაპეიკად ხუთი ვედრო, ვისაც სახლში აქვს გაყვანილი მილიო. ამ დღეებში დრაგუნის პოლკმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, რომ მას ძრიელ ბევრი სჭირდება წყალი, როგორც ჯარისთვის, აგრეთვე მის ცხენებისათვის და ამიტომ არ შეუძლიან იმდენის ფულის გაღება. გამგეობამ განიხილა ეს თხოვნა და გადასწყვიტა: რადგან ხშირად ზაფხულობით ქალაქს აკლდება ხოლმე წყალი და ვერ აკმაყოფილებს ტფილისის მცხოვრებთა საჭიროებს, ამიტომ აძლიოს პოლკს კაპეიკად რვა ვედრო წყალი იმ პირობით, რომ ზაფხულში, როდესაც დიდი მოთხოვნილებაა წყალზედ, პოლკმა თავისი ცხენები ატაროს მტკვარზედ და იქ ასვას წყალიო. უკეთუ ამ პირობას არ მიიღებს დრაგუნის პოლკი, მაშინ გამგეობა ვერ იკისრებს წყალის მიცემას ამ პოლკის ყველა საჭიროებისთვისაო. მაინც და მაინც ამ გარდაწყვეტილებას გამგეობისას მხოლოდ მაშინ ექმნება ძალა, უკეთუ საბჭო შეიწყნარებს მას.

*** **ფოთი:** აგერ სამი თვე გადის, რაც ფოთის შავის-ქვის ვაჭარნი გულზე ხელ-დაკრეფილები ისხდნენ, რადგან ინგლისის გემებმა უზომოდ ასწიეს ბარგის გადატანის ფასები. წინათ ერთი ვაგონი შავი-ქვის გადაზიდვა 9 შილინგი*) ღირდა, ეხლა კი 26 შილინგამდე ავიდა. ამის გამო არავითარი ღონისძიება არ იყო შავის-ქვით უზარალოდ ევაჭრნათ. ხოლო როცა გემების პატრონებმა დაინახეს, რომ ამ გაზვიადებულის ფასით საქმე არ რიგდებოდა და თვითონაც ზარალობდნენ, 26 შილინგიდან ერთბაშად ჩამოვიდნენ 14 შილინგზე. ფასის დაკლებამ მაშინათვე სიცხოველე და მოძრაობა გამოიწვია. მოვაჭრეთა შორის ბევრნი მყისვე მოურიგდნენ გემებს, მაგრამ საუბედუროდ ზამთარი დაგვიდგა და ზედ ცუდი ამინდები დაერთო, რის გამო გემები ვერ იძვრებიან. ზღვაში საშინელი ღელვაა აგერ სამი კვირა, გემები ჩვენს უბედურ ვარსკვლავზე შობილ ნავთ-სადგურს ახლოს არ უდგებიან. ვაჭრები ცხვირ-ჩამოშვებულები დადიან და იმით ინუგეშებენ თავს, რომ საცაა ჩვენი ქალაქის მოურავის ნ. ი. ნიკოლაძის მეცადინეობით იქნება გვეშველოს, რამეო. ყველანი, დიდი თუ პატარა, ფოთელები თუ უცხონი სულ იმის ლოდინში არიან, როდის მოახერხებს ბ-ნი ნიკოლაძე ფოთის ნავთ-სადგურის საქმის ფეხზე წამოყენებას და როდის დადგება ის სანატრელი დრო, როცა გავიგებთ, რომ ნავთ-სადგურის ასაშენებლად თანხა მოიძებნა (ობლიგაციების გამოშვებით) და მუშაობას დავინახავთ ფოთის ნავთ-სადგურის შესაკეთებლადო. ფოთელებს სჯერათ და დარწმუნებულნიც არიან, რომ ბ-ნი ნიკოლაძე ასე თუ ისე დროისით და კეთილად დაამთავრებს ამ საჭირ-ბოროტო საქმეს და გაიმარჯვებს ყოველ დამაბრკოლებელ მიზეზზედ, როგორც აქამდინაც გაუმარჯვნია ბევრჯელ საზოგადო საქმეში.

*** **შეშის სიძვირეს ტფილისში** ყველანი უჩივიან და არავინ კი არ იკითხავს, თუ საიდგან წარმოსდგება ეს სიძვირე. განსაკუთრებით ძვირია დახერხილი შეშა, რომელსაც ვაგზალის ახლოს ჰყიდიან. დახერხილი შეშა ერთი საჟენი სამ თუმან ნახევრად და ხუთ თუმნამდეც ადის ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ შეშა გაძვირდა სოფლებში, რკინის გზით ჩამოტანა ტფილისში დიდ-ძალი ფული ჯდება და ასე წარმოიდგინეთ ტფილისში ჩამოტანილი შეშის გადატანა ვოგზლიდან ქალაქის შუაგულში ღირს ერთი საჟენი 7—9 მანათი. საოცარია სწორედ ასეთი უზომო ფასი გადატანისათვის, მაგრამ ვერც მეფურგუნეებს გავამტყუნებთ; საქმე ის არის, რომ იმ ადგილებში, სადაც შეშის საწყობებია ისეთი გაუვალი ტალახი და ტბორებია, რომ არამც თუ დატვირთულ ფურგუნს, არამედ ცარიელსაც გაუჭირდება უხიფათოთ ამოსვლა ხსენებულ ტალახიდან. რატომ არ მიაქცევს ჩვენი ქალაქის გამგეობა ამ საჭირ-ბოროტო საქმეს თავის ყურადღებას. გზა რომ ოდნავ მაინც ხეირიანი იყოს, განა ასე ძვირი იქნებოდა ფურგუნების ფასი. განა ძნელია ან ბევრი დაჯდება, რომ ქალაქმა ქვით მოკირწყლოს ის ადგილები და ერთხელ და სამუდამოდ თავიდგან აიცდინოს ტფილისის მცხოვრებთ ეგ მეტი ხარჯი? ზემოხსენებული ადგილი 500 საჟენიც ძლივსღა გამოვა და ამდენი ალაგის მოკირწვლა ბევრი—ბევრი ას თუმნამდე დაჯდეს. მაშინ, იმის გარდა, რომ მცხოვრების ცარიელ ჯიბეს შეღავათი მიეცემოდა, თვით ის ადგილიც გასუფთავდებოდა, გაშენდებოდა. თუ ქალაქის გამგეობა მაინც და მაინც ვერ იკისრებს ამ ხარჯს, ჩვენის აზრით, თვით შეშის ვაჭრებმა რომ იკისრონ გზის შეკეთება იმათთვისაც სახეირო და სასარგებლო იქნებოდა, რადგან, როგორც ყველამ ვუწყით, სიძვირეს ყველა გაურბის და იაფობას კი ეტანება. საჟენი რომ მყიდველს 4—5 მანათით ნაკლებ დაუჯდეს, დიდი შეღავათი იქნება მისთვის და უფრო გაბედავს შეშის ყიდვას.

*** **სადგური ყარათაფა.** (ამიერ კავკ. რკინის გზა) 21 ნოემბერს, ჩვენს სადგურზე კინაღამ უბედურება არ დატრიალდა. აი საქმე როგორ იყო. ბაქოდან მომავალ მგზავრების მატარებელს სადგურის პლოტფორმაზე მოელოდა სამი ქალი, რომელნიც ტფილისში მიდიოდნენ. სწორედ იმ დროს, როცა მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა, ერთი ზემოდ ხსენებულ ქალთაგანი უეცრივ გადავიდა და გაჩერდა იმ ლიანდაგზე, სადაც მატარებელი უნდა დამდგარიყო. ყველანი შეკრთნენ და არ იცოდნენ რა ექნათ, მაგრამ ამ დროს უცბად გადავარდა რკინის გზის მორიგი აგენტი ბ-ნი ბედოიძე, მოჰკიდა ქალს ხელი და ცდილობდა ქალი მოეშორებინა ლიანდაგს და მით სიკვდილს გადაერჩინა, მაგრამ საუბედუროდ ქალი არ დანებდა, შეექნათ ბრძოლა და ამასობაში ორნივე წაიქცნენ ლიანდაგზე, ხოლო მატარებელი სწრაფად უახლოვდებოდა სადგურს. ამ სურათის მაყურებელთ შეჰქნეს წივილ-კივილი, მაგრამ მშველელი არავინ გამოჩნდა. ისევ ბ-ნმა ბედოიძემ მოიკრიბა ყოველი ძალღონე და ძლივ ძლივობით, როგორც იქმნა, ქალი მოაშორა ლიანდაგს და თვითონაც გადარჩა. მემაშინეს, რა თქმა, უნდა, სულაც არ შეემჩნივა ლიანდაგზე წაქცეული ქალი და კაცი, რადგან ვერც მოიფიქრებდა, რომ სადგურის პირდაპირ ვინმე ლიანდაგზე გაჩერდებოდა. ასე იყო თუ ისე, საბედნიეროდ ყოველივე კარგად გათავდა ბ-ნი ბედოიძის გამბედაობის და თავ-განწირვის წყალობით.

*** **ბათუმი.** 21 ნოემბერს მოვაჭრე ზაქარია ჩუბინიძე მიდიოდა ქალაქ გარეთ ყარამან ზედანიასთან. შუა გზაზს რომ მიაღწია, წინ გადაელობა ორი ოსმალო და შეჰყვირა: «გაჩერდი შე მსუნაგო, შენ ის ბიჭი არ ბრძანდები, დუქნიდგან რომ გამომაგდეო, დღეს უნდა გამოგასალმო წუთი სოფელსო!“ და ამავე დროს, თურმე, დანაც ამოიღო ჩუბინიძის დასაკრავად, მაგრამ ამ უკანასკნელმა დამბაჩა ამოიძრო და მათს შესაშინებლად ჰაერში დასცალა. სწორედ ამ დროს მეორე ოსმალომ კეტი დაჰკრა ჩუბინიძეს პირი სახეში და ცხვირი ძალიან დაუშავა. ჩუბინიძეს თავ-ბრუ დაესხა; ამასობაში ოსმალოები გადაცვივდნენ. ჩუბინიძე ვერც ერთს მათგანს ვერ იცნობს.

*** **ქ. სიღნაღი.** 9 ნოემბრიდამ ჩვენში სთოვს და ყველანი საზამთროდ დაგვაფაცურა და სიღნაღის ქუჩებზე ხომ ნუღარასა გვკითხავთ. ქუჩებზე გაუვალი ტბორები დგა და განსაკუთრებით ერთი გზა, რომლის გავლას ვერვინ ასცდება, მეტის-მეტად გაფუჭებულია; ვერც ფეხით მიმავალი და ვერც ურმით გაივლის კაცი დღე ისე არ გავა, რომ ერთ-ერთი ურემი, ან ფურგუნი არ ჩაილეწოს ამ გზაზე. ეს გახლავთ ნუკრიანიდან ჩამოსავალი გზა ხითარას დუქნის წინ. სასურველია, ამ გზას დროისით ყურადღება მიექცეს ჩვენის ქალაქის ახალ გამგეობისაგან.

ჩვენი ქალაქის თვით მმართველობის წარმომადგენელნი მთავრობამ უკვე დაამტკიცა და შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას; როგორ და რა ნაირათ შეასრულებენ თავიანთ მძიმე საქმეს, არ ვიცით; ჯერჯერობით ახლები ძველებს ანგარიშსა სთხოვენ, და როგორ ანგარიშსაც ჩააბარებს ძველი მმართველობა ახალს, ამას დრო და ჟამი გვიჩვენებს.

*) შილინგი უდრის 46—54 კ.

⁂ **სოფ. ჯიდაური.** (დუშეთის მაზრა). ჩვენს სოფელში გაჩნდა საზარელი ავადმყოფობა—„ციმბირის სენი". ოქტომბრის გასულს ჯილაურის მცხოვრებელმა ძაგანაშვილმა შეატყობინა მღ. ასათიანს, რომ ქალიშვილი მიკვდება, მობრძანდი და აზიარეო. მამა ასათიანიც გაემგზავრა და ძლივს მოასწრო ავადმყოფის ზიარება, რომ მან სული განუტევა. ორიოდე დღის შემდეგ იმავე ძაგანაშვილს ახლა ცოლი გაუხდა ავად. შეატყობინეს იმავე მღვდელს, რომელიც მივიდა და ნახა, რომ ავადმყოფის თავ-ტანი მთლად დაწყლულებულია, ტუჩებიც დალურჯებია და საზარლად დაჰბერია. ასათიანი დარწმუნდა, რომ ეს სატკივარი იყო „ციმბირის სენი". წმიდა საიდუმლოს მიღების შემდეგ ეს დედაკაცი მალე გარდაიცვალა. მამა ასათიანმა დაასაფლავა იგი და გუბერნატორს დეპეშით შეატყობინა, რომ ჯილაურში „ციმბირის სენი" გაჩნდაო. გუბერნატორის განკარგულებით მეორე დღესვე მოვიდა ექიმი მაჭავარიანი და ძაგანაშვილის ოჯახის წევრები გასინჯა. ყველას აღმოაჩნდა „ციმბირის სენი", რომელიც, თურმე, გადასდებიათ ჭირიან ხარის ხორცისაგან. ექიმმა მაჭავარიანმა მიიღო შესაფერი ზომები, აქაურობის თვალ-ყურის ჭერა ჩააბარა ექიმს ბრომელს და თვითონ დაბრუნდა. ჯილაურელები და მის მიდამოს მკვიდრნი დიდად დავალებულნი არიან ყველასაგან ცნობილ მამა ასათიანისაგან, რომელიც ყოველთვის ეხმარება ჩვენს ხალხს ყოველს გასაჭირში.

აქაურობა დათოვლა. გზები შეიკრა. საპალნე ღვინო ფასობს 80—100 მანათამდე. მყიდველები ქალაქის სირაჯებია.

⁂ **სოფ. ჭარები.** (პატარა ლიახვის ხეობაში.) აქ ერთი საზარელი მკვლელობა მოხდა. ჭარებელი გლეხი ვანო სოფელ სათიხარში მოკეთესთან წირვაში იყო. ფული ჰქონია სამიოდე თუმანი. შესაწევრის დროს ამოუღია ეს ფული და ერთი მანათი შეუწევია. დანარჩენი დაუკეცია და შეუნახნია ისევ. იმ წირვაში ორი ოსი სხვა ყოფილა. დაუნახავთ, რომ ამ გლეხს ფული ჰქონდა და როცა საღამოზე მთვრალი სახლში წამოსულა, დასდევნებიან უკან და მოუკლავთ შუბებით. უძებნიათ ფული, გაუხდიათ ტანისამოსი, მაგრამ ვერ უპოვნიათ. თურმე საწყალს წინდის ყელში შეენახა. რა კი ვერ უპოვიიათ, ტიტველა კაცი გადაუთრევიათ ამ ოსებს და ერთს ხევში გადაუგდიათ. ელოდა სახლობა ვანოს, მაგრამ ვანო არსადა სჩანდა. ამ დროს ამათ მოკეთეს სოფ. ხელთუბანს ქორწილი ჰქონდა და მოპატიჟე მისვლოდათ ხელთუბნიდამ. იმათ ეფიქრნათ, ალბათ ვანო იქ თუ წავიდაო და სამი დღის განმავლობაში უცადეს. ხელთუბნიდამ ასულმა კაცმა აიტანა ამბავი, რომ ვანო აქ არ არისო. მაშინღა დაფორიაქდნენ და გაიქცნენ საძებნელად სათიხარში. იქ უთხრეს, რომ ვანო ამა და ამ დროს წამოვიდა და ორი ოსიც იმის უკან წამოვიდაო. ბევრის ძებნის შემდეგ მოკლული ძმა ხევში იპოვნეს. მაშინვე იმ ოსებზე აიღეს ეჭვი და მადგნენ კარებზედ. თურმე შუბები ისევ სისხლიანები იყო. მაშინვე იმათ დაადეს ხელი. ოსები კიდევ ამითა მართლულობდენ, თურმე, თავსა, რომ ღორები დავჰკოცეთ ამ შუბებითაო. ვნახოთ შემდეგ რა იქნება.

⁂ **დაბა აბაშა** (სენაკის მაზრა). საზოგადოთ მეგრელებს ძალიან უყვართ აქიმობა და ცრუ-მორწმუნეობას თითქმის სრულებით არ მისდევენ, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ერთი ნასწავლი ექიმი არა გვყავს და ეს არის ეხლა ჩვენი სადარდო. ამას წინად აქ იყო ერთი ექიმი ბ. გ. ნადირაძე, რომელმაც დიდი სიყვარული დაიმსახურა საზოგადოებისა, მაგრამ სხვაგან გადავიდა. ეხლა ვართ ისე უნუგეშოდ დარჩენილი. კარგს ექიმს კი ჩვენში ყოველთვის საქმე ექნება და რიგიანი შემოსავალიც... ხანჯლის ტრიალი თან-და-თან მიწყნარდა. ალბად ან აცივების ბრალია და ან არადა ქესატობისა. ჩვენდა სასიამოვნოდ ქართულ გაზეთებს ბევრი ვაჭართაგანი იწერს ჩვენს დაბაში და სწორედ სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება. განვითარების წყურვილი და თავის შეგნება ყოველ დღე მატულობს და ღვთის წყალობით მემრის უფრო ფართო გზა მიეცემა სწავლა-განათლებას ჩვენში.

სახალხო ბიბლიოთეკის დაარსებას მგონი მალე შეუდგებიან კეთილნი პირნი. ეხლა ჩვენს დაბაში სასტუმრო გახსნეს რუხაძის შენობაში, სადაც ყოველს მგზავრს შეუძლიან იქონიოს სუფთა ოთახები და რიგიანი საჭმელ-სასმელი. ქაღალდის თამაშობა თუმცა არ შემცირებულა, მაგრამ უბანდეროლო ბანქოთი თამაში აკრძალულია და ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს ფრთა შეაკვეცა ბანქოს უზომო მოტრფიალეთა.

ჩვენსკენ ორ ტკაველამდის თოვლი დასდო და ცუდი ტაროსებია.

## რკინის გზის ამბები.

**ახალი ორთქლ-მავალი.** ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობას ხალხისა და ფოსტის მატარებელ ვაგონების საზიდლად შეუკვეთნია ახალი, განსაკუთრებული ორთქლ-მავალები, რომლებიც შესძლებენ საათში 100 ვერსის გავლას. აქამდის ხმარებულ ორთქლ-მავალებს შეეძლოთ დიდის გაჭირვებით საათში მხოლოდ 55 ვერსის გავლა.

—

**უბედური შემთხვევა ავჭალაში.** 23 ნოემბერს ავჭალის ზემოდ რკინის გზის ლიანდაგზედ მომხდარა შემდეგი უბედურება. იქ, ერთ ალაგას, ლიანდაგზედ გადადის გზა ნემენცების სოფლის ალექსანდერდორფისა, რომელიც იკეტება აქეთ-იქიდამ შლაგბაუმებით. გზის ყარაულს შლაგბაუმი ჩამოეშვა, რადგან იმ ხანებში მატარებელს უნდა გამოევლო, და თითონ სიღლაც წასულიყო. ამ დროს ლიანდაგს მოადგა ფურგუნით ნემენცი დავით ვოიკო. ნემენცს სიმთვრალის გამო დასძინებოდა და ცხენებს თავის-თავად მიჰქონდათ ფურგუნი. ლიანდაგს რომ მიადგნენ და გზა შეკრული დაუხვდათ, გადაუხვიეს გზას და წაიღეს ფურგუნი ლიანდაგის პირის-პირ; ამ დროს ავჭალიდამ მოდიოდა გაჩქარებული სამხედრო მატარებელი, რომელიც დაეჯახა ფურგუნს ბ მსწრაფლ დალეწა. სამი ცხენი საცოდავათ გაჭყლიტა თვლებ ქვეშ, ერთი გადისროლა ლიანდაგს იქით. მეფურგუნე ნემენციც გამოაფხიზლა განცხრომიდამ და გვარიანად დააშავა. ნემენცი ჩამოიყვანეს ქალაქში და რკინის გზის საავადმყოფოში დააწვინეს.

—

**რიონის სადგურთან** იმავე დღეს მატარებელმა გასრისა ერთი კაცი. თვლებმა მარჯვენა ფეხი მოსწყვიტეს. დაშავებული არის მცხოვრები არდაგანის ოლქისა, ბერძენი მურად განზელოვი, 40 წლისა.

—

**ნატანების სადგურზედაც** მეისრეს დაუდევრობით ცოტას გასცდა მატარებელი არ ჩამოვიდა რელსებიდამ. ისარი რიგიანად არ გაესწორებინა, და უბედურება აუცილებელ იყო, რომ მაშინისტს დროზედ არ შეემჩნივა მეისრეს შეცდომა და მატარებელი დროზედ არ გაეჩერებინა.

—

**სადგურ ხაშურში** 24 ნოემბერს, დილის 8 საათზედ, ეფრემ გლუშჩენკოს, როდესაც სურამის ხიდს გადადიოდა, მოასწრო მატარებელმა № 47 და ისე დააშავა, რომ რამდენისამე წამის შემდეგ გარდაიცვალა.

## თეატრის მატიანე.

**ქართული წარმოდგენა ქუთაისში.** ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში წარმოადგინეს საქველ-მოქმედო აზრით სცენის მოყვარეთ ხუთ-მოქმედებიანი დრამა „მონასტრის ზღუდეთა შორის, ანუ და. ტერეზა". წირმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ბევრი ახალგაზდა ქალი და კაცი და კიდევ ეტყობოდა თითოეულს მათგანს, რომ განზრახულს საქმეს სინიდისიერად მოჰყრობოდა. რეჟისორად მოწვეულ იყო საგანგებოდ ტფილისიდან ორს უკანასკნელს რეპეტიციაზე კ. მესხი. პირველს რეპეტიციებზე-კი ალექსი-მესხიშვილი დაესწრო. საზოგადოება სრული კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით.

უმთავრესს როლებს ასრულებდნენ ქ-ნი მარ. ანჯაფარიძისა (ტერეზა) და ილ. ჩიქოანი (გუსტავო ემპოლი). პირველს გამოსვლაზე მეორე მოქმედებაში ქ-ნი ანჯაფარიძისა ცოტა არ იყოს შეკრთა გამოუცდელობის გამო, მაგრამ შემდეგს მოქმედებებში თანდათან გამხნევდა და მეოთხე მოქმედებაში, იმ დროს, როდესაც ის და გუსტავო ერთმანეთს შეხვდებიან ბალში, ჩინებულად გაატარა. კარგი იყო აგრეთვე ილ. ჩიქოანი გუსტავოს როლში; შეგნებულად და მოფიქრებულად თამაშობდა თავიდგან ბოლომდის. მეოთხე მოქმედებაში, ტერეზასთან შეხვედრის დროს, ბალში, სწორედ რომ მოსაწონი იყო ილ. ჩიქოანი. დანარჩენი როლები საქებურად შეასრულეს ქალებთაგან განსაკუთრებით ევ. ჩხეიძისამ (ჯუზეპა) და ნ. ჩხეიძემ (ადელინა). ჯუზეპა და ადელინას თამაში ისეთი ნამდვილი რამ იყო, რომ სრულს ილლიუზიას ჰბადავდა. კარგები იყვნენ აგრეთვე ქ-ნი ე. გამრეკელოვისა (მარიამი), ოლ. ქორქაშვილი (ევგენია) და ლ. ანჯაფარიძე (ცეცილია). საზოგადოების სიამოვნება და ბევრი ტაში გამოიწვია რამოდენიმეჯერ ან. გელაზაროვის (თეოდორო) მოხდენილმა თამაშმა. მისი სახის გამომეტყველება და მიხვრა-მოხვრა განუწყვეტელს სიცილს ჰგვრიდა საზოგადოებას. კარგი იყო მ. ბადრიძე დონატოს როლში, განსაკუთრებით პირველს მოქმედებაში; გრიმიც და თამაშიც სწორედ საქებარი ჰქონდა. ალ. თუმანიშვილი გრაფ დიუბრელის და ევ. კრინიაშვილი ბაზილიოს როლში კარგები იყვნენ. დ. მდივანი (მარჩელლო) და ს. ჯაფარიძე (ანტონიო) ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

დიდი ალტაცება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში მოლოზნების ხორომ მესამე მოქმედებაში. მომხიბვლელს სურათს წარმოადგენდა ოცამდის მომღერალი ახალგაზდა ქალი მოლოზნის ტანისამოსში კელაპტრის სანთლებით ხელში. მადლობის ღირსია ბ-ნი ფალიევი, რომელმაც იკისრა ამ ხოროს მომზადება. ხოლო განსაკუთრებით დიდი მადლობის და პატივისცემის ღირსია გამგებელი ხუთშაბათის წარმოდგენისა ეკ. ნიკოლაძისა, ეგ დაუღალავი მუშაკი ქალი, რომელიც არავითარს შრომას არ ზოგავს საზოგადო საქმისათვის.

დამსწრეთაგანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია